



„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო  
საზოგადოება“ განახორციელებს 2010 წლის ადგილობრივი  
თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური  
არჩევნების მონიტორინგს

მედია განცხადება

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) განახორციელებს 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების (მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებზე # 7 ჩუღურეთის, # 12 გურჯაანისა და # 60 ოზურგეთი საარჩევნო ოლქებში) ფართომასშტაბიან მონიტორინგს, რომელიც მოიცავს:

- წინასაარჩევნო პერიოდს;
- არჩევნების დღეს;
- არჩევნების შემდგომი პერიოდს.

**წინასაარჩევნო პერიოდი**

წინასაარჩევნო პერიოდში „სამართლიანი არჩევნების“ ცენტრალური და რეგიონული ოფისები, ისევე როგორც ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლები განახორციელებენ მონიტორინგს საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის პროცესზე. კერძოდ: დაესწრებიან ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომებს, დააკვირდებიან საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესს ყველა დონეზე, თვალყურს მიადევნებენ წინასაარჩევნო ღონისძიებების შესრულებას და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ კანონით დადგენილი ვადების დაცვას. ორგანიზაცია განახორციელებს სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების მიერ წარმოებულ საარჩევნო კამპანიების მონიტორინგს; ამასთანავე, ყურადღება მიექცევა ადმინისტრაციული რესურსების შესაძლო გამოყენების ფაქტებს. „სამართლიანი არჩევნების“ დაკვირვების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იქნება ამომრჩეველთა სიების საკითხი და განახორციელებს ამომრჩეველთა სიების დახვეწის პროცესის მონიტორინგს.

ამომრჩეველთა ინფორმების კუთხით, „სამართლიანი არჩევნები“ წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოს 26 რეგიონალური ტელევიზიის საშუალებით გაავრცელებს ინტერაქტიულ ფილმს არჩევნებზე, ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებისა და მათი მხრიდან აქტივობის გაზრდის მიზნით. ამასთან, ორგანიზაციის წარმომადგენლები, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სპეციალურად ორგანიზებული ტელე და რადიო - თოქშოუების მეშვეობით

სამართლიანი არჩევნებისა და  
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,  
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98  
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: [info@isfed.ge](mailto:info@isfed.ge)  
ვებ-გვერდი: [www.isfed.ge](http://www.isfed.ge)



## სამართლიანი არჩევნები

მოახდენენ საზოგადოების ინფორმირებას არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე. გაკეთდება საგაზეთო ჩანართები რეგიონალურ ბეჭდვით მედიაში.

წინასაარჩევნო პერიოდში „სამართლიანი არჩევნები“ ორგანიზებას გაუკეთებს 2 ტიპის საჯარო სტენდს, სადაც გავრცელდება კენჭისყრის დღის პროცედურებთან და სიებში ამომრჩეველთა მიერ თავის გადამოწმებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

„სამართლიანი არჩევნების“ მხრიდან ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა იქნება ავტო-ტურების ორგანიზება. ორგანიზაციის აქტივისტები და მოხალისეები საქართველოს 73 საარჩევნო ოლქში ჩაატარებენ არჩევნების დღის იმიტაციას და მოსახელობას, მათი როლურ თამაშებში ჩართვის გზით, აუხსნიან არჩევნების დღის პროცედურებს.

ინფორმაცია წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის შედეგების შესახებ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება, როგორც ბრიფინგების, ასევე ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენების - „საარჩევნო სიახლენის“ მეშვეობით.

### არჩევნების დღე

არჩევნების დღეს, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ სადამკვირვებლო მისია დაფარავს საქართველოს 73 საარჩევნო ოლქის, საარჩევნო უბანთა მნიშვნელოვან ნაწილს. 2010 წლის 30 მაისს „სამართლიანი არჩევნები“ მიუკერძოებელ დამკვირვებლებს მიავლენს ცენტრალურ, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში. პარალელურად, ინფორმაციის ოპერატიულად მოპოვების მიზნით ორგანიზაცია ჩამოაყალიბებს მობილურ და იურიდიულ ჯგუფებს. მათი ფუნქცია ასევე იქნება, საარჩევნო უბნებზე გამოვლენილ კრიტიკულ სიტუაციებზე დაუყოვნებელი რეაგირება.

არჩევნების დღეს ორგანიზაცია განახორციელებს საარჩევნო პროცედურებზე ხარისხობრივ და რაოდენობრივ დაკვირვებას საქართველოს მასშტაბით. ამისათვის, შეიქმნება სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, რომელშიც მოხდება დამკვირვებლებისაგან მოწოდებულ ინფორმაციის მიღება და დამუშავება.

არჩევნების დღის განმავლობაში, „სამართლიანი არჩევნები“ სპეციალურ პრეს-კონფერენციების მეშვეობით საზოგადოებას მიაწვდის ობიექტურ ინფორმაციას კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობისა და მოცემული დროისათვის გამოვლენილი დარღვევების (არსებობის შემთხვევაში) შესახებ.

სამართლიანი არჩევნებისა და  
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,  
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98  
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: [info@isfed.ge](mailto:info@isfed.ge)  
ვებ-გვერდი: [www.isfed.ge](http://www.isfed.ge)



## არჩევნების შემდგომი პერიოდი

არჩევნების დღის დასრულების შემდეგ, „სამართლიანი არჩევნები“ განახორციელებს მონიტორინგს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებზე. ამასთან, ორგანიზაცია დააკვირდება საჩივრების განხილვის, მიღებული გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრებისა და ვადების დაცვის საკითხებს.

არჩევნების შემდგომ პერიოდში „სამართლიანი არჩევნები“ განახორციელებს 24 საათიან მონიტორინგს საქართველოს 25 საარჩევნო ოლქში, რომელთაგან 10 იქნება დედაქალაქის საარჩევნო ოლქები, ხოლო დანარჩენი პროპორციულად გადანაწილდება სხვადასხვა ოლქებში რეგიონების მიხედვით.

საარჩევნო პროცესების დასრულების შემდეგ კი ორგანიზაცია მოამზადებს სრულ ანგარიშს 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების შესახებ, რომელშიც მონიტორინგის შედეგებთან ერთად წარმოდგენილი იქნება „სამართლიანი არჩევნების“ რეკომენდაციები, საარჩევნო პროცესების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

2010 წლის, 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგი (წინასაარჩევნო, არჩევნების დღე, არჩევნების შემდგომი პერიოდი) დაფინანსებულია ევროკომისიის (EC), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI), ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის (NED) და ფონდი ღია-საზოგადოება საქართველოს (OSGF) მიერ.

---

“სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება” (ISFED) მიუკერძოებელი, არასამთავრობო, არამომგებიანი ორგანიზაციაა, რომელიც დაარსდა 1995 წელს. “სამართლიანი არჩევნების” სადამკვირვებლო საქმიანობა მიზნად ისახავს არჩევნების გამჭვირვალობის, საარჩევნო პროცედურების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფასა და არჩევნების შედეგებისადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცებას. ორგანიზაციამ განახორციელა მონიტორინგი 1995 წლიდან ქვეყანაში ჩატარებულ ყველა ძირითად არჩევნებზე.

სამართლიანი არჩევნებისა და  
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,  
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98  
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: [info@isfed.ge](mailto:info@isfed.ge)  
ვებ-გვერდი: [www.isfed.ge](http://www.isfed.ge)